ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N26

2023 წლის 28 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 აპრილის N114-1142311034 წერილის შესაბამისად:

1. 2023 წლის ტურისტული პერიოდისათვის (არაუგვიანეს 2023 წლის 1 ოქტომბრამდე) ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც საკუთრებაში/სარგებლობაში აქვთ სავაჭრო ობიექტები, ნება დაერთოთ (უსასყიდლო სარგებლობის უფლებით) აღნიშნული ობიექტის მიჯნაზე განათავსონ მცირე ზომის ობიექტები (სანაყინე, მაცივრები და სხვა მცირე ობიექტები). ამასთან, აღნიშნული ობიექტები არ უნდა ზღუდავდნენ საერთო სარგებლობის გასასვლელს (ტროტუარს) 1,8 მეტრზე ნაკლები მანძილით და ობიექტის მიჯნიდან თავსდებოდეს არაუმეტეს 1 მეტრის დაშორებით;

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას კონტროლი გაუწიოს განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების მკაცრად შესრულებას;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N19 განკარგულება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ. მჭედლიშვილი